პარტია — მესაჭე, გეზი — კომუნიზმი!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 245 (12159) | ოთხშაბათი, 25 ოქტომბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

სკკპ XXII ყრილობის შესახებ

24 ოქტომბერს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXII ყრილობა.

დილის სხდომაზე ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები ამხანაგები: ვიქტორიო კოდოვილია — არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, კოსტას კოლიანნისი — საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ტიმ ბაკი — კანადის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, პალედ გაგდაში — ხირიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ. ყრილობას მიესალმა საიფულაი დიალო — გვინეის დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი, გვინეის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე.

შემდეგ ყრილობა განაგრძობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვას. სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ს. პ. პავლოვი — სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ა. მუხიტდინოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მ. ა. შოლოხოვი — მწერალი (როსტოვის პარტორგანიზაცია), ა. ი. პელშე — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. ფ. ილიჩოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოკავშირე რესპუბლიკების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

საღამოს სხდომაზე ყრილობას მიესალმნენ განის რესპუბლიკის კონვენტის სახალხო პარტიის დელეგაციის მეთაური, ეპენეზერ ცეფას კვეი, მალის რესპუბლიკის პარტია სუდანის კავშირის პოლიტბიუროს წევრი, ეროვნული კრების დეპუტატი ტიდიანი ტარაორე და საზღვარგარეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები ამხანაგები: ეგილ ლეგლიენი — ნორვეგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე, ერნესტ გიურნელი — ბელგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე, როდნეი არისმენდი — ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

ყრილობა განაგრძობდა მოხსენებათა განხილვას. სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. ვ. ბრაჩოვი — ხომუტოვკის რაიონის სოფელ კალინოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე (კურსკის პარტორგანიზაცია), ნ. მ. შვერნიკი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, ბ. ნ. პონომარიოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე, ა. პ. პირილინკო — სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ბ. აბრამოვი — სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ბროშურად გამოიცა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესახებ“

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სკკპ XXII ყრილობაზე „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესახებ“.

ბროშურის ტირაჟია ხუთი მილიონი ცალი.

ბროშურად გამოიცა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში პარტიის XXII ყრილობისადმი“

მოსკოვი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში პარტიის XXII ყრილობისადმი“.

ბროშურა გამოვიდა ხუთ მილიონ ცალად.

ჩვენი ფიქრით და საქმით მშობლიურ პარტიასთან!

უპატაკეგენ ყრილობას

 მხურვალედ მივესალმებით მშობლიური პარტიის მეოცდაერთე ყრილობას. ბრიგადამ ნაკისრი ვალდებულება შესრულა. ყრილობის დელეგატებს ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას. არ დავზოგავთ ძალასა და ენერგიას მიღებული პროგრამის შესასრულებლად.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელით

სერგი ნუცუბიძე.

ყიბულკვანანაზირის ტრესტის მეშახტეები მხურვალედ მივესალმებიან სკკპ XXII ისტორიულ ყრილობას — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობას. უპატაკეგენ, რომ ტრესტის კოლექტივმა ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის გადამეტებით ამოიღო 18.600 ტონა მაღალხარისხოვანი სათბობი, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 15 ათასი ტონისა, თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულია 172 ათასი მანეთის ეკონომია.

ტყიბულელმა მეშახტეებმა გადასინჯეს შესაძლებლობანი და იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ამოიღონ არანაკლებ 20 ათასი ტონა ქვანახშირი და მნიშვნელოვნად გაუუმჯობესონ მუშაობის ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

„ტყიბულკვანანაზირრესტის“ კოლექტივი.

ჩვენ, რუსთაველი მეცემენტეები, უდიდესი ყურადღებით ვადევნებთ თვალს პარტიის XXII ყრილობის მუშაობას და მხურვალედ ვიწონებთ მის გენერალურ კურსს. მოსარული ვართ, რომ წარმატებით შეკასრულეთ საყრილობოდ ნაკისრი ვალდებულებანი და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მივეცით ასობით ტონა მაღალხარისხოვანი ცემენტი, კლინკერი და ფიბროლიტი.

თავგამოდებით ვიბრძვით, რათა პირნათლად შეკასრულოთ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამით გათვალისწინებული ამოცანები და რაც შეიძლება მალე მოვიპოვოთ კომუნისტური შრომის საწარმოს სატიტო სახელი.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სახელით: ნ. ჭიპაკვილი — ქარხნის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ი. სალაძე — პარტიული კომიტეტის მდივანი, ჰ. ღუდუშაური — საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე.

გულითადი საუბარი

სოფელ ბიბოყვათის კოლმეურნეობის წევრები გულდასმით სწავლობენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებს. მეჩაიეები და მეციტრუსეები, შრომის გმირები, უხვი მოსავლის ოსტატები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს, აზრებსა და მისწრაფებებს.

ჩვენს კოლმეურნეობაში უკვე ხარობს კომუნიზმის ყლორტები. კოლმეურნეები კარგა ხანია უფასოდ სარგებლობენ ბანოთი, რადიოთი, უმინდოდ ფქვავენ წისქვილში, უფასოდ ნახულობენ კინოფილმებს, ხოლო იანვრიდან უფასოდ ექნებათ ელექტროგანათება. არტელში შექმნილია კოლმეურნეთა უზრუნველყოფის ფონდი. თექვსმეტი ღრმად მოხუცი კოლმეურნე იღებს პენსიას, დახმარება ეწევათ დროებით შრომისუნარადაკარგულებს, მოწინავე კოლმეურნე წევრებს ეძლევათ უფასო სანატორიული საგზურები და სხვ.

— პარტიის XXII ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებმა გადაგვიშალა ბედნიერი მომავლის ნათელი პერსპექტივები, — ამბობს სოციალისტური შრომის გმირი გ. ჯინჭარაძე, — პარტიამ თქვა, მაშასადამე, შესრულდება! ჩვენ კომუნიზმში ვიცხოვრებთ.

თ. ჭანუყვაძე.

ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობის პარტიაროს მდივანი.

კომუნისტური შრომის ბრიგადაში

თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატს“ დიდი ხნის ისტორია როდი აქვს. იგი სკკპ XX ყრილობის შემდეგ შეიქმნა. ახლა კი ამ ქარხნის პროდუქცია იგზავნება როგორც მოკავშირე რესპუბლიკებში, ისე დემოკრატიულ ქვეყნებში.

ქარხანაში დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობაა. განსაკუთრებული აღფრთოვანებაა საამწყობო საამქროს მუშებში. მათი წარმომადგენელი — დამამზადებელი უბნის ოსტატი ნელი ოდიშარია ხომ ყრილობას ესწრება როგორც დელეგატი!

ცვლის დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, გურამ ჯახუტაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები კი უკვე შეკრებილნან. ბრიგადირი მათ ყრილობის მასალებს აცნობს.

— ყრილობაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებები, — ამბობს იგი, — ახალ ფართო სამოქმედო ასპარეზსა და ბრწყინვალე პერსპექტივებს შლის ჩვენი ადამიანების, მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე.

ჩვენმა ბრიგადამ ყრილობის მუშაობის დღეებში პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა 120 პროცენტით გაანაღდა.

ჯახუტაშვილი კითხულობს ადგილს მოხსენებიდან, რომელიც ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარებას ეხება.

საუბარში აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტური შრომის დამკვრელები დ. მეგრელიშვილი, ი. ლოსაბერიძე. — პარტიის XXII ყრილობა, — ამბობენ ისინი, — დაგვისახავს ახალ გრანდიოზულ გეგმებს, რომელთა განხორციელებაში ჩვენი წვლილიც იქნება.

გ. არაფიძე.

ნათელი მომავალი

სოხუმი. (საკ. კორ.). სალოკომოტივო დეპოს კლუბში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ მოვიდნენ მემანქანეები, მერქანმტეები...

ტრიბუნაზე ადის სალოკომოტივო დეპოს უფროსი კ. გვაზავა. ის ლაპარაკობს ჩვენი ხალხისა და მთელი მშვიდობისმოყვარე ადამიანების ცხოვრებაში სკკპ XXII ყრილობის უდიდეს მნიშვნელობაზე.

სოხუმელი რკინიგზელები კომუნიზმის მშენებელთა ყრილობას დიდი შრომითი საჩუქრებით შეხვდნენ. ცხრა თვესა და 17 დღეში გატარებულია 1.119 მძიმეწონიანი მატარებელი, რაც 219 მატარებლით აღემატება ნაკისრ ვალდებულებას. გეგმის ზევით გადაჭიდულია 354.446 ტონა ტვირთი, ვალდებულებით ნაკისრი 200 ათასი ტონის ნაცვლად. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე ვალდებულებები შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგში.

სიტყვას იღებს მოწინავე მემანქანე მ. კილაძე:

— ყველა ჩვენთაგანმა დიდი ინტერესით მოვისმინეთ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებები. მასში ნათლად და გასაგებად არის განსაზღვრული კომუნიზმის მშენებლობის დიადი მომავალი.

საკდესის ცნობა

ამა წლის 22 ოქტომბერს მოხდა მრავალსაფეხურიანი მატარებელი რაკეტის მორიგი გაშვება წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში.

რაკეტის უკანასკნელის ზინა საფეხურის მაკეტმა გაიფრინა 12.000 კილომეტრზე მეტი და დიდი სიზუსტით მიაღწია გათვალისწინებულ ვარდნის წერტილს.

რაკეტის ყველა სისტემა და საზომი საშუალება უნაკლოდ მუშაობდა.

საკდესის ამა წლის 14 ოქტომბრის ცნობის შესაბამისად მატარებელი რაკეტების გაშვება წინათ გამოცხადებულ რაიონში გაგრძელდება.

შეხვედრები აღელვებს გულს

დღეს საყრილოგო მოსკოვში

ჩვენში კარგად ცნობილი ამერიკელი მწერალი მიტჩელ უილსონი ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი თავისი ახალი რომანისათვის („შეხვედრა შორეულ მერიდიანზე“) მასალებს მოსკოვში აგროვებდა და კარგახანს მოუხდა აქ ცხოვრება. ჩვენი ქვეყნიდან წასვლის წინ ეურნალმა „მოსკვამ“ სთხოვა, დედაქალაქზე დაგვწერე რამეო. უილსონმა თავის ნარკვევს „სამი თვალი“ შეარქვა, და რატომ? მოკლე დროში მოსკოვის გასაცნობად ადამიანს ნამდვილად სამი თვალი უნდა ჰქონდესო...

მოსკოვში ყოფნისას ხშირად მიფიქრია უილსონის ამ დაკვირვებაზე და თუ გოჩას ეუოლივარ, გულში ბევრჯერ მითქვამს, სამი კი არა, ათასი, ნამდვილად ათასი თვალი უნდა ადამიანს აქ.

ახლა კვირას შემოდგომის კვალობაზე კარგი ამინდი იდგა მოსკოვში. ყრილობა ისვენებდა. დელეგატები დედაქალაქის დასათვალიერებლად წავიდ-წამოვიდნენ.

მოსკოვში ჩასული კაცი შინ როგორ დაჯდება, და გავყე მორთულ-მოკაზმულ მოსკოვს. ყველა თავისას ეძებს... და აგერ ათას აფიშაში ვკითხულობ: მარინე იაშვილის კონცერტი დანიშნულია 28 ოქტომბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში... და ცოტა იქით. ოცდამეორე ყრილობის აღსანიშნავად დიდი აკადემიური თეატრის სცენაზე მაყურებელი მალე ნახავს ანდრია ბალანჩივაძის ახალ ბალეტს, რომელსაც „ცხოვრების ფურცლები“ ჰქვია.

ამ კითხვასა და ფიქრში მეტროს სადგურ „კრასნაია პრესნიასთან“ მივედი.

— აქეთ საით ყოფილხარ?

ბიბოს, ჩვენი დელეგატები. ერთი ივანე მესტვირიშვილია თელავის რაიონიდან, კურდღელაურელი მევენახე, მეორე — მახეილ რჩეულიშვილი გორის რაიონიდან, ქვეშელი მებაღე.

— მიირთვი ბულგარული ყურძენი, თანაც ჩვენებურს შეადარე.

იქვე ბაღში სკამზე ჩამოვსხედით.

ვიცი, რათაც უყიდია ივანეს ბულგარული ყურძენი. მევენახე კაცია, მოსინჯოს სხვათა მიწის ნაყოფიც... მევენახე და მერე როგორი! ივანეს ბრიგადას ოცდაათი ჰექტარი ვაზი აბარია, და წელს ჰექტარზე ოთხმოცდაექვსი ცენტნერი ყურძენი მიიღო. ცხრა ჰექტარ სიმინდს აღარ იტყვით! წელს გვალვიანი ამინდი იყო და ჰექტარზე მაინც ორმოცდაცამეტი ცენტნერი მოიყვანა. ხოლო ის ვაშლი, რომელიც მიჰყიდა ქვეშის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს, ორს თუ არა, ერთ დღეს მაინც ეყოფოდა ამ უზარმაზარ ქალაქს.

ამიტომაც არიან მესტვირიშვილი და რჩეულიშვილი რჩეულთა შორის — ამ დიდი ყრილობის დელეგატები.

— აგერ ის ქუჩა დიდი ქართული ქუჩა ყოფილა, იმის ქვევით კი მცირე ქართული ქუჩაა, გული ამიჩქროლდა, ვაზის მადლს გეფიცები.

ისე გულიანად, ფიქრიანად და სიამოვნებით თქვა ივანემ, როგორც ძალიან ახლობელზე, სისხლხორცეულზე შეუძლია ადამიანს თქმა.

მესტვირიშვილი პირველად არის მოსკოვში, რჩეულიშვილი იანვრის პლენუმსაც ესწრებოდა.

ლაპარაკ-ლაპარაკში მე უილსონის „სამი თვალის“ ამბავი ვახსენე.

— სულაც არა, — თქვა ივანემ, — არც სამი თვალი უნდა კაცს და არც ათასი. ორი თვალი იმიტომ მოუცია ბუნებას, რომ ყველაფერი დავინახოთ, თუ კი დანახვა გვინდა. ერთმა კაცმა რიყეზე ქვა რომ არ დაინახა, ხომ გაგიგია?

— როგორ არა.

— ჰოდა იმ ამერიკელებმა ეგრე იციან. თუ უნდათ, ჰუბრუტანას მოძებნიან, ერთ თვალს მოავლებენ და მაინც ხედავენ. ხოლო რის დანახვაც არ უნდათ, სამით კი არა, ათასითაც არ დაინახავენ. აქ გულზეა საქმე, ჩემო ძმაო, გულზე. მთავარია, ვინ როგორი გულით გვიყურებს.

უილსონი, ცხადია, არ ეკუთვნის იმ უცხოელთა რიცხვს, რომელთაც არ უნდათ დაინახონ ჩვენი დიდი წარმატებანი, მაგრამ რატომღაც აღარა ვთქვი ჩემი სათქმელი, როცა გულში ამერიკელი მწერლის აზრს ქართველი მევენახის, გონებაგახსნილი მშრომელი კაცის მეტად მოსწრებული პასუხი დავუპირისპირე.

ოცდამეორე ყრილობის ქართველ დელეგატთა შორის ალბა მეორე ხრამჰესის მშენებლობის ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადირი — ოთარ ბლიაძეც, რომელსაც არაერთი ძნელი გზისა და კლდოვანი გვირაბის გაყვანაში მიუღია მონაწილეობა.

რა არის ძნელი გზა ან კლდოვანი გვირაბი? თუ ასაღებია, ერთი დიდი პოეტის თქმისა არ იყოს, მასაც მოგვლეკს ადამიანი. და ოთარს თითქოს სიარულზეც ეტყობა, რომ მშენებელია, რომ კლდეს ანგრევს და გზა გაკაფავს...

ყველაფერი ყველაფერია, მაგრამ რაზე უნდა საუბრობდნენ მშენებელი და მეღორე?

დიახ, სასტუმრო „უკრაინის“ მოსაცდელში ერთად სხედან ოთარი და ცნობილი იაროსლავ ჩიეი. ისინი კარგა ხანია საუბრობენ. არც ოთარს უთქვამს, რომ ჩემი ბრიგადა ორასოცი პროცენტით ასრულებს გეგმასო, და არც ჩიეს უხსენებია ის ცხრასი ცენტნერი ნამატი, რომელიც ამ დიდი ყრილობას აღსანიშნავად მისცა სამშობლოს, თავისი ქართველი მეგობარი დავით სეფიაშვილი კი რამდენჯერმე ახსენა და გულითადი მოკითხვა დაუბარა ოთარს.

მერე საუბარი რევაზ ებრალიძის „თანამედროვე ტრაგედიაზე“ ჩამოვარდა. იაროსლავსა და ოთარს გუშინ ერთად უნახავთ ეს სპექტაკლი სტანისლავსკის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე.

ჩიეი რუსულარეული უკრაინულითლაპარაკობს, როგორც გოგოლის „დიკანკის“ გმირები. ტანდაბალი, სხარტი კაცია. ორდენებს და მედლებს „ძლივს ერევა“. ერთი ოცამდე მაინც ექნება მკერდზე მიბნეული, სტალინგრადის გმირი გეგონებათ, მეღორე კი!

— იაროსლავს გაუმარჯოს! — ერთად ამბობს სამი ხმა.

ერთი რუსთაველი მეტალურგი ამირან ფანცულაია, მეორე — მაღაროელი მექანიზატორი ივანე ბაიდოშვილი სიღნაღის რაიონიდან და მესამე — ცნობილი ნიკოლოზ მამაი.

— აბა, ზეკით ავიდეთ!

* * *

სურათზე: გულთბილად საუბრობენ სკკპ XXII ყრილობის დელეგატები (მარცხნიდან მარჯვნივ) — ო. ბლიაძე, ი. ჩიეი, ა. ფანცულაია, ნ. მამაი და ი. მესტვირიშვილი.

ფოტო ი. დავითაშვილისა.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

დაუვიწყარი დღეები

ეუფუნა ვარშანიძე.

ეუფუნა ვარშანიძე,

ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი.

ჩემთვის მარად დაუვიწყარი იქნება ეს დღეები.

როცა ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მოხსენებას ვისმენდი, ჩემდაუნებურად ვიფიქრე, რომ დღევანდელი მიღწევები ხვალ საკმარისი არ იქნება, დავბრუნდები თუ არა ახლებურად უნდა შევუდგე საქმეს, იმ ათი ძროხისაგან, რომლებიც მე მაბარია, ოცდათერთმეტი ათასი კილოგრამი რძის მიღება ნამდვილად ცოტაა.

დიდი, გმირული საქმისაკენ მოგვიწოდებს მშობლიური პარტია.

მომავალი ჩვენია

მიხეილ აბრამიშვილი,

ჭიათურის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი.

დღეიდან ჩვენი შრომა კომუნიზმისათვის გაათკეცებული ენერგიით შრომა ხდება. ახალი პროგრამა ის ამაყი, არწივისებური ფრთეებია, რომლებმაც კომუნიზმის ნათელ მწვერვალებზე უნდა აიყვანოს ჩვენი საყვარელი სამშობლო.

მთავარია შრომა

ივანე ბაიდოშვილი,

სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის მექანიზატორი.

მხდალმა და ზარმაცმა კაცმა ჩვენში ვეღარ უნდა იბოგინოს. თუ ყველანი ერთნაირად არ ვიშრომებთ, საქმე ვერ მოითმენს.

ახალი პროგრამა კომუნიზმის პროგრამაა. კომუნიზმი კი ერთიანი შრომით უნდა ავაშენოთ.

წელს ჩვენს ბრიგადას კომპლექსური მექანიზაციისათვის 800 ჰექტარი სიმინდი და 200 ჰექტარი მზესუმზირა ჰქონდა. ცხადია, გაისად მეტი უნდა დავამუშაოთ.



ივანე ბაიდოშვილი.

პარტიის სიბრძნით შთაგონებულნი

ტატიანა ჩხაიძე.



მიხეილ აბრამიშვილი.

XXII ყრილობის დარგაზიდან

პარტიის XXII ყრილობის დელეგატი, საქართველოს სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე აპირებს შექმნას ალბომი, რომელსაც „ოცდამეორე ყრილობის ქართველი დელეგატები“ ეარქმევა.

მხატვარს გადაწყვეტილი აქვს ამ მოწინავე ადამიანებს, რომლებიც თავიანთი მადლიანი შრომით ზრდიან სამშობლოს დოვლათს, საკოლმეურნეო მინდვრებსა და ქარხნებშიც ეწვიოს.

გუშინ „კომუნისტის“ კორესპონდენტი სწორედ საქართველოს სახალხო მხატვართან უჩა ჯაფარიძესთან შეხვდა რამდენიმე დელეგატს და სთხოვა გაეზიარებინათ თავიანთი აზრები, შიქრები.

სიხარული

ტატიანა ჩხაიძე,

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

ოცდამეორე ყრილობა კომუნიზმისაკენ მიმავალი გზის მანათობელი შუქურაა. ძნელია სიტყვებით გამოხატო ის სიხარული, რომელსაც დღეს ყოველი ჩვენგანი განიცდის.

თუ წელს სამშობლოს ცამეტი ტონა ჩაი მივეცი თორმეტნახევარი ტონის ნაცვლად, მომავალ წელს გაცილებით მეტი უნდა მოვკრიფო.

მომავალი ჩვენია

მიხეილ აბრამიშვილი,

ჭიათურის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი.

დღეიდან ჩვენი შრომა კომუნიზმისათვის გაათკეცებული ენერგიით შრომა ხდება. ახალი პროგრამა ის ამაყი, არწივისებური ფრთეებია, რომლებმაც კომუნიზმის ნათელ მწვერვალებზე უნდა აიყვანოს ჩვენი საყვარელი სამშობლო.

მთავარია შრომა

ივანე ბაიდოშვილი,

სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის მექანიზატორი.

მხდალმა და ზარმაცმა კაცმა ჩვენში ვეღარ უნდა იბოგინოს. თუ ყველანი ერთნაირად არ ვიშრომებთ, საქმე ვერ მოითმენს.

ახალი პროგრამა კომუნიზმის პროგრამაა. კომუნიზმი კი ერთიანი შრომით უნდა ავაშენოთ.

წელს ჩვენს ბრიგადას კომპლექსური მექანიზაციისათვის 800 ჰექტარი სიმინდი და 200 ჰექტარი მზესუმზირა ჰქონდა. ცხადია, გაისად მეტი უნდა დავამუშაოთ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

21 ოქტომბრის დილის სხდომა

(დასასრული)

გამოდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ა. სუსლოვი

XXII ყრილობა ჩვენი პარტიის, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და მთელი მსოფლიოს შუშათა კლასის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში შევა როგორც დიადი მოვლენა, ამბობს იგი. კანონიერი სიამაყის გრძნობით ვაკვამებთ ჩვენ იმ დიდი და სახელოვანი გზის შედეგებს, რომელიც პარტიამ, ხალხმა განვლეს XX ყრილობის შემდეგ.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო სოციალურად, ეკონომიურად, ტექნიკურად, მეცნიერულად და კულტურულად ახალ გიგანტურ სიმაღლეზე ავიდა. სოციალიზმი სულ უფრო დამაჯერებლად ცხადყოფს თავის უდიდეს, უპირატესობებს. ორი სოციალური სისტემის შეჯიბრებაში ძველი სამყარო კაპიტალიზმისა იძულებულია პირველობა დაუთმოს სოციალიზმს, როგორც ერთადერთ სამართლიან და პროგრესულ საზოგადოებრივ სისტემას ჩვენს საუკუნეში.

უმაგალითოდ გაიზარდა საბჭოთა კავშირის როლი საერთაშორისო ასპარეზზე. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მეცადინეობა და თანმიმდევრულმა ბრძოლამ ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განხორციელების კურსს, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი ადგა.

ფრაქციულ საქმიანობას შეეძლო სერიოზული ზიანი მიეყენებინა პარტიისა და ჩვენი ქვეყნისათვის. პარტიამ იდეურად დაანდგურა და უკუაგდო ოპოზიციონერთა უბადრუკი ჯგუფი. ცხოვრებამ ცხადყო მათი სრული გაკოტრება.

პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები და პარტიული ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპები რომ აღდგინა, ჩვენი პარტია ახლა აქტიური მჩქეფარე შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს, გაშუქდებით ივსება ახალი მძლავრი ძალების ნაკადით — მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის მოწინავე ადამიანებით.

XXII ყრილობაზე, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. სუსლოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მოვიდა როგორც კიდევ უფრო მძლავრი და უძლეველი კოჭორტა, კიდევ უფრო მახლობელ და მშობლიური საბჭოთა ხალხისათვის, მჭიდროდ შეკავშირებული თავისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო გამოჩენილი ლენინელის, ჩვენი პარტიის უთვალსაჩინოესი მოღვაწის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

ცენტრალური კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ახალი პროგრამის პროექტი, განაგრძობს მ. ა. სუსლოვი, თანამედროვე ეპოქის ღიადი პოლიტიკური და თეორიული დოკუმენტია.

პროექტში თეორიულად გაშუქებულია სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ჯერ კიდევ გაუკვალავი გზები, შემდგომ განვითარებულია მარქსისტულ-ლენინური თეორიის დიდმნიშვნელოვანი საკითხები, მოცემულია კომუნიზმის ყოველმხრივი დახასიათება, ნაჩვენებია, როგორი იქნება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საზოგადოებრივი ურთიერთობა, როგორი იქნება კომუნიზმის ადამიანი.

სწორედ ამიტომ, ამბობს შემდეგ ამხ. სუსლოვი, სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენი პარტიის ახალი პროგრამა მოასწავებს შესანიშნავ წვლილს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საგანძურში და ჭეშმარიტად მეცნიერული საგმირო საქმეა ჩვენი პარტიისა, მისი ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

საბჭოთა ხალხი ენთუზიაზმით იწონებს პროგრამის პროექტს და მიაჩნია იგი თავისი ცხოვრებისა და ბრძოლის ერთადერთ სწორ პროგრამად, აცხადებს, რომ მზად არის ყოველი ღონე იხმაროს მისი განხორციელებისათვის.

ჩვენი პროგრამა საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის გახდა მთავრობის წყარო და დასაყრდენი ბრძოლაში. ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებს, მიგვაჩნია, რომ ეს ახალი გამოხატულებაა ყველა ქვეყნის კომუნისტების იდეური შეკავშირებისა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების ბაზაზე, მათი ერთგულებისა თათბირებზე ერთად მიღებული დოკუმენტებისადმი — 1957 წლის დეკლარაციისა და 1960 წლის განცხადებისადმი.

ახალ პროგრამას აღფრთოვანებით შეხვდნენ ავრეთვე კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელნი, ხალხები, რომელნიც კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლნენ ან განთავისუფლებისათვის იბრძვიან.

ყველა ქვეყნის მშრომელების მიერ ჩვენი პროგრამის პროექტის მხურვალე მოწონების პირობებში, აღნიშნავს ამხ. სუსლოვი, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ალბანეთში ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი გამოაქვეყნეს შეკვეცილად და დამახინჯებულად. ამით შეიქმნა დამახინჯებული წარმოდგენა სკკპ პოზიციაზე მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში. ალბანელ ხელმძღვანელთა ეს ბრალგმობრული აქტი შემთხვევითი როდია. ამჟამად ალბანეთში საქმე იქამდე მივიდა, რომ ადამიანებს, რომლებიც მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობის შენარჩუნებას, ხსნიან პოსტებიდან და რეპრესიებს მიმართავენ მათ წინააღმდეგ.

ამავე დროს პრესაში ალბანელი ხელმძღვანელები დღემდე თვალთმაქცურად წერენ მეგობრობის შესახებ, ეწევიან რა სპეკულაციას ალბანელი ხალხის კეთილ გრძნობებზე საბჭოთა კავშირისა და ჩვენი პარტიისადმი.

ან ახლაც ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელებმა გამოგზავნეს წერილი. ეს წერილი თვალთმაქცობისა და ცილისმწამებლური ქარაგმების ნარევია. ნება მიბოძეთ ეუთხრა ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელებს, აცხადებს ამხ. სუსლოვი, რომ ჩვენ კარგად გვესმის, სად არის მეგობრობა და სად არის თვალთმაქცობა! ესმით თუ არა ალბანეთის ხელმძღვანელებს, თუ რა ზიანს აყენებენ ისინი თავიანთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეს, როცა ძირს უთხრიან მეგობრობას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, საბჭოთა ხალხთან და თავიანთ თავს უპირისპირებენ სხვა მოძმე პარტიებს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებში? კომუნისტ-ინტერნაციონალისტებში არ შეიძლება შეშფოთება არ გამოიწვიოს პოზიციამ; რომელიც ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელებმა დაიკავეს.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ გამოეხმაურნენ პროგრამის პროექტს მტრულ საზღვარგარეთის წრეებში. იმპერიალისტურ ქვეყნებში ცოტა როდია ლვარძლიანი გამოხდომა პროგრამის წინააღმდეგ. მისი ყალთაბანდური ფალსიფიკაცია კრიტიკის სახით. მიუხედავად ამისა, ბევრი ჩვენი მოწინააღმდეგე იძულებულია აღიაროს, რომ პროგრამის განხორციელება შესაძლებელია. მათ აშინებთ პროგრამის დიადი მიმზიდველი ძალა.

შემდეგ ამხ. სუსლოვი ეხება კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდის, პარტიის იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს.

მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების პრომაგანდა, ამბობს იგი, მათი შემოქმედებითი განვითარება და განხორციელება, სისტემატური ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ პარტიის იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სკკპ XX ყრილობის შემდეგ იდეოლოგიური მუშაობა უფრო მიზანსწრაფული და ქმედითი გახდა, მოიცვა საბჭოთა მოქალაქეების ახალი მილიონები, განამტკიცა კავშირი ცხოვრებასთან.

ათეულ მილიონობით საბჭოთა ადამიანი, კომუნისტი და უპარტიო ეუფლება პოლიტიკურ ცოდნას. მარტო პარტიული განათლების სისტემაში გასულ სასწავლო წელს მეცადინეობდა 19 მილიონზე მეტი კაცი. სულ უფრო ფართოდ ვითარდება პარტიული განათლება, ლექციური პროპაგანდა, საგაზეთიო-მასობრივი მუშაობა, პრესა, რადიო.

პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო მეტად უნდა ზრუნავდნენ იდეოლოგიური მუშაობის იდეური დონის ამაღლებისათვის, უნდა ცდილობდნენ მიაღწიონ იმას, რომ ეს მუშაობა ყველა მის რგოლსა და ფორმაში განუყოფლად იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან, პარტიის პოლიტიკასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან და მისი ზემოქმედება და გავლენა ვრცელდებოდეს ხალხის ყველა ფენაზე. პარტიის საგაზეთიო და პროპაგანდისტული საქმიანობის ცენტრში ამჟამად უნდა დაისვას ის ამოცანა, რომ განვმარტოთ მშრომელებს პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი, ახალი პროგრამა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებანი, რათა ამ ისტორიული დოკუმენტების ღრმა ცოდნით შეიარაღებული იყოს თვითეული საბჭოთა ადამიანი.

ახალი ადამიანის ჩამოყალიბების კეთილშობილურ საქმეში ჩვენი პარტიის დიდმნიშვნელოვანი იარაღი მუდამ იყო და არის საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ვ. ი. ლენინი ოცნებობდა ისეთ ლიტერატურასა და ისეთ ხელოვნებაზე, რომლებიც სამსახურს გაუწევენ „...არა მოწყენილ და სიმსუქნის ქონით შეწუხებულ „ზედაფენის ათეულ ათასებს“, არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ“. სწორედ ასეთი ლიტერატურა, ასეთი ხელოვნება ვითარდება ჩვენს ქვეყანაში. ეს ლიტერატურა და ხელოვნება უდიდესი ძალა გახდა. პარტია მოუწოდებს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს გაამტკიცონ კავშირი ცხოვრებასთან, ხალხთან, მართლად წარმოსახონ სოციალისტური სინამდვილის მრავალფეროვნება, ამხელონ ის, რაც ხელს უშლის ჩვენი საზოგადოების წინსვლას.

ამხ. სუსლოვი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არც თუ იშვიათად გამოდის ჩვენში უშინაარსო და უვარგისი წიგნები, უიდეო და ნაკლებმხატვრული სურათები და ფილმები, რომლებიც არ შეესაბამებიან საბჭოთა ხელოვნების მაღალ მოწოდებას.

მკაფიოდ და შთამბეჭდავად რომ უჩვენოს ჩვენი დროის გმირი, დიდი სულის, მგზნებარე გულის ადამიანი, კომუნიზმის მტკიცე მშენებელი, მხატვარი ღრმად უნდა იცნობდეს ხალხის ცხოვრებას, მუდამ ხალხთან და მის ავანგარდთან — კომუნისტურ პარტიასთან ერთად უნდა იყოს.

ახალ პროგრამაში დასახული მიზნები და ამოცანები თავისი გრანდიოზული მასშტაბებით აოცებს ადამიანის გონებას, მაგრამ ჩვენი პროგრამა სავსებით რეალურია, და მას ისევე წარმატებით განვახორციელებთ, როგორც განხორციელდა პარტიის პირველი ორი პროგრამა, ამბობს ამხ. მ. ა. სუსლოვი.

ჩვენი პარტიის ყრილობისადმი მიპყრობილია ასობით მილიონი ადამიანის თვალი. ყრილობის გადაწყვეტილებანი, პარტიის ახალი პროგრამა საბჭოთა ხალხში, სოციალიზმის მშენებელ ხალხებში გამოიწვევენ შემოქმედებითი აქტივობის უდიდეს მოზღვავებას, დიადი იმედით აღუვსებენ გულს ყველა ადამიანს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობის, სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის.

ჩვენი საუკუნე კომუნიზმის ტრიუმფული მსვლელობის საუკუნეა. საბჭოთა ხალხის მიერ არჩეული გზით ამჟამად მიდის ევროპისა და აზიის ბევრი ხალხი. შორს ალარ არის ის დრო, როცა ამ გზით წავლენ ყველა ქვეყნის, დედამიწის ყველა კონტინენტის ხალხები. ამაოა იმპერიალისტებისა და მათი ლაქიების ცდები შეაფერხონ კაცობრიობის სვლა კომუნიზმისაკენ. იგი უძლეველია. კომუნიზმი მთელი კაცობრიობის ხვალინდელი დღეა!

ყრილობას მისასალმებელი სიტყვით მიმართავს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ტოდორ ჟივკოვი.** ყველა ბულგარელი კომუნისტის, მთელი ბულგარელი ხალხის ახრები და გრძნობები, ამბობს იგი, ნათელი კომუნისტური მომავლისათვის მილიონობით მებრძოლის, ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყნის ხალხთა ფართო მასების ახრები და გრძნობები იმედითა და სიყვარულით მიმართულია დღეს მსოფლიოს გულსა-კენ — მოსკოვისაკენ, კრემლისაკენ, სადაც მუშაობს თქვენი შესანიშნავი ყრილობა.

ჩვენ, ბულგარელ კომუნისტებს, სკკპ XXII ყრილობა მიგვაჩნია განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან, ისტორიულ ყრილობად. რომელიც მოსაწვევს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიისა და პრაქტიკის განვითარების ახალ ეტაპს. ჩვენ ვიღებთ სკკპ პროგრამას როგორც ჩვენს პროგრამას, როგორც ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მოქმედების პროგრამას. სკკპ პროგრამაში აღბეჭდილი შვენიერი პერსპექტივებით აღფრთოვანებული ჩვენი ხალხი თვალ თავის ძალღონეს ახმარს იმას, რომ მიაღწიოს კიდევ უფრო შესანიშნავ გამარჯვებებს სოციალიზმის მშენებლობაში.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VII ყრილობის შემდეგ, რომელიც 1958 წელს გაიმართა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ ახალი წარმატებები მოიპოვა. მესამე ხუთწლიანი გეგმა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით დასრულდ ვადაზე თითქმის ორი წლით ადრე შევასრულეთ. პარტია და მთავრობა ამუშავებენ ბულგარეთის განვითარების პერსპექტივულ გეგმას უახლოესი 20 წლისათვის. ჩვენი პატარა ქვეყნის მასშტაბებისათვის ეს დიდებული პროგრამა ითვალისწინებს, რომ მომავალ ორ ათწლეულში სავსებით დამთავრდება სოციალიზმის მშენებლობა და გადავალთ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაზე.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის განვითარება, ამბობს ბულგარელ კომუნისტთა დელეგაციის მეთაური, მოითხოვს, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს სოციალისტური ბანაკის ძალიერება, კიდევ უფრო შეკავშირდეს მისი ძალები. სოციალიზმის ბანაკის ერთიანობა და შეკავშირება ჩვენი უძლეველობის, ახალი, კიდევ უფრო დიდი წარმატებების გარანტიად მიგვაჩნია. ჩვენი პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით გმობენ ალბანეთის შრომის პარტიის ახლანდელი ხელმძღვანელობის მცდარ პოლიტიკურ ხაზს. ავანტიურისტულ კურსს, ხელმძღვანელობისა, რომელიც თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებში შორდება ამოფენილ კომუნისტური მოძრაობის საერთო შეთანხმებულ ხაზს.

ჩვენი, ბულგარელი კომუნისტების, უპირველესი ინტერნაციონალური მოვალეობაა წმიდად დავიცვათ სოციალისტური ბანაკის, საერთაშორისო კომუნისტური და შუამთა მოძრაობის ერთიანობა, კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდეთ საბჭოთა კავშირის გარშემო, დაუცხრომლად განვამტკიცებდეთ ჩვენს დიად ოციოსანებულ ჩვენი ხალხი მთელ თავის ძალღონეს ახმარს იმას, რომ მიაღწიოს კიდევ უფრო შესანიშნავ გამარჯვებებს სოციალიზმის მშენებლობაში.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VII ყრილობის შემდეგ, რომელიც 1958 წელს გაიმართა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ ახალი წარმატებები მოიპოვა. მესამე ხუთწლიანი გეგმა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით დასრულდ ვადაზე თითქმის ორი წლით ადრე შევასრულეთ. პარტია და მთავრობა ამუშავებენ ბულგარეთის განვითარების პერსპექტივულ გეგმას უახლოესი 20 წლისათვის. ჩვენი პატარა ქვეყნის მასშტაბებისათვის ეს დიდებული პროგრამა ითვალისწინებს, რომ მომავალ ორ ათწლეულში სავსებით დამთავრდება სოციალიზმის მშენებლობა და გადავალთ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაზე.

ყრილობას მიესალმა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ხო ში მინი.**

ძვირფასო ამხანაგებო, თქვა მან, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაციას დიდ პატივად მიაჩნია, ესწრებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას, კომუნიზმის მშენებელთა ყრილობას, და აღფრთოვანებით მონაწილეობს მის მუშაობაში. ნება მიბოძეთ ჩვენი პარტიის ყველა წევრისა და ვიეტნამის ყველა მშრომელის სახელით უაღრესად მხურვალე, გულითადი, ძმური სალამი გადავცე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობას ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

კომუნისტები დედამიწის ყველა კუთხეში უსაზღვროდ ბედნიერი არიან, რომ საბჭოთა კავშირში მალე აშენდება კომუნიზმი. ნება მიბოძეთ გიამბოთ, თუ რა უსაზღვროდ ვხარობ მე, კომუნისტური მოძრაობის ძველი მოღვაწე. ჩემი უსაზღვრო სიხარულის გრძნობას მთელი ჩვენი პარტია, მთელი ვიეტნამელი ხალხი ეზიარებს.

ამხ. ხო ში მინმა ილაპარაკა ვიეტნამის კომუნისტური პარტიის შექმნის ისტორიაზე, ამ ქვეყნიდან ფრანგი და იაპონელი აგრესორების ალაგლეშვა, იმაზე, თუ რა თავდადებით იბრძვიან სამხრეთვიეტნამელები ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი ლაქიი ნგო დინ დიემის ხროვის წინააღმდეგ.

ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთში, თქვა ამხ. ხო ში მინმა, ხალხი მთელ თავის ძალღონეს ახმარს სოციალიზმის მშენებლობას. ჩვენი პარტიისა და მთელი ხალხის ღონისძიებათა მეთაბეთან, საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და სხვა მოძმე ქვეყნების გულითადი დახმარებით ჩვენ დიდი წარმატებები მოვიპოვეთ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში ნათქვამია, რომ სოციალისტურ სახელმწიფოთა წინაშე ისახება პერსპექტივა მათი მეტად თუ ნაკლებად ერთდროული, ერთი ისტორიული ეპოქის ფარგლებში, გადასვლისა კომუნიზმზე. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ, როცა საბჭოთა კავშირში აშენდება კომუნიზმი, ჩვენს ქვეყანაშიც დამთავრდება სოციალიზმის მშენებლობა, და ჩვენც წავალთ კომუნიზმისაკენ.

ამხ. ხო ში მინმა წაიკითხა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, ნათქვამია მისალმებაში, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის იდეებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი მიაღწევს კომუნიზმის გაცისკროვნებულ მწვერვალს. საბჭოთა კავშირისა და მომავე სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება შემდგომ განვითარდება. ჩვენი ბანაკის ქვეყნებში სულ უფრო გაიშლება სოციალიზმის მშენებლობა, და ჩვენ ამ საქმეში ახალ და ახალ გამარჯვებებს მოვიპოვებთ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატებსა და მთელ საბჭოთა ხალხს გულითადი სალამი გადასცა და ყოველივე სიკეთე უსურვა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **იუმჟაგინ ცედენბალმა.** ამ დღეებში, განაცხადა მან, მსოფლიოს ხალხთა გულისყური მიპყრობილია ყრილობის მუშაობისადმი. ეს გასაკვირველი როდია, რადგანაც აქ განიხილება მთელი კაცობრიობის ხვალინდელი დღის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე სამართლიანი და გონივრული მოწყობის, ადამიანთა საზოგადოების უმაღლესი ფორმის — კომუნიზმის დამკვიდრების დიადი მიზნის პრაქტიკული განხორციელების საკითხი, რომელიც მთელ კაცობრიობას ეღელვება.

ორატორმა ილაპარაკა სსრ კავშირში სოციალიზმის სრულ და საბოლოო გამარჯვებაზე, საბჭოთა ქვეყნისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებათა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობაზე. საბჭოთა ხალხმა გადალახა პიროვნების კულტის მავნე შედეგები და ბრძნული ლენინური პარტიის წინამძღოლობით მიაღწია და აღწევს ეკონომიურად კოლოსალურ წარმატებებს, რომლებიც მთელი მოწინავე კაცობრიობის გულწრფელ სიხარულსა და აღტაცებას იწვევენ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის — ჩვენი ეპოქის ამ უდიდესი დოკუმენტის მიღება თანამედროვეობის ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენა იქნება. მარქსიზმ-ლენინიზმი — დიადი და მწყობრი მოძღვრება სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის შესახებ — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით პოულობს თავის შემდგომ განვითარებას, მდიდრდება ახალი თეორიული დასკვნებით.

ამხ. ი. ცედენბალმა აღნიშნა, რომ სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობის ინტერნაციონალისტურ სულისკვეთებას აშკარად ეწინააღმდეგება. ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელთა მცდარი ხაზი, რომელიც ზიანს აყენებს ჩვენს საერთო საქმეს და უწინარეს ყოვლისა ალბანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს.

სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებით მშენებლობისათვის ხალხებს მშვიდობა ესაჭიროება, განაგრძო ამხ. ი. ცედენბალმა, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის მიღწევის ძირითადი გზა ახლის არის, რომ განხორციელდეს წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, გერმანიის საკითხის, მათ შორის დასავლეთ ბერლინის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ გერმანიის სახავო ხელშეკრულების უსწრაფესი დადების გზით, აგრეთვე იმპერიალიზმის სამარცხვინო კოლონიური სისტემის საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა და რომლებსაც მხარს უჭერს მსოფლიო პროგრესული საზოგადოებრიობა.

ამხ. ი. ცედენბალმა [illegible] მონღოლეთის ხალხის გამარჯვებებზე სოციალისტურ [illegible] მონღოლეთს [illegible] ერთგული კავშირი [illegible] და ძალა და ცხოველმყოფელობა ვ. ი. ლენინის მოძღვრებისა იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ჩამორჩენილი ქვეყნების გადასვლა სოციალიზმზე კაპიტალიზმის გვერდის აცლით. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის წინაშე დგას ამოცანა — დაამთავროს სოციალიზმის აშენება, აიყვანოს თავისი ეკონომიკა და კულტურა მოწინავე სოციალისტური ქვეყნების დონემდე.

ამხ. ი. ცედენბალმა აღნიშნა, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს ძმურ დახმარებას უწევენ მეგობარი სოციალისტური ქვეყნები და საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით გადაუხადა დიდი მადლობა ძმური გულითადი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. მან პირობა მისცა ყრილობას, რომ მონღოლი ხალხი კვლავაც ყოველთვის ერთგული იქნება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი დროშისა.

21 ოქტომბრის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობს სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ი. ვ. სპირიდონოვი.**

ტრიბუნაზე ადის კუბის გაერთიანებულ რევოლუციურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის წევრი ამხ. **ბლას როკა,** რომელსაც ყრილობის დელეგატები და სტუმრები მხურვალედ მიესალმებიან.

გაერთიანებულ რევოლუციურ ორგანიზაციათა და მათი ხელმძღვანელის, ეროვნული გმირის ფიდელ კასტროს დელეგაციი, მთელი კუბელი ხალხის სახელით ბაბლ როკა ძმურ სალამს გადასცემს საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას და სულით და გულით უსურვებს მას სრულ წარმატებას მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული ამოცანების შესრულებაში.

კუბის პატრიოტული დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუცია, თქვა ამხ. ბლას როკამ, მისი სწრაფი და წარმატებით განვითარება ბრწყინვალე და ქმედითი პრაქტიკული დადასტურებაა სკკპ პროგრამის პროექტში ჩაწერილი, თეზისისა თანამედროვე ეპოქის ხასიათის შესახებ, რომლის ძირითად შინაარსს შეადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა. კუბის რევოლუცია, რაც ხორცელდება შეერთებული შტატების ნაპირებიდან 140 კილომეტრზე მდებარე ქვეყანაში, რომელიც ამერიკელ იმპერიალისტებს თავიანთ საფლობელად მიაჩნდათ, ეს არის დასაწყისი იმისა, რომ ბოლო ელება ლათინური ამერიკის ქვეყნების ეროვნული ეროვნული ეროვნული

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: სკკპ XXII ყრილობის დელეგატები მებრძოლი მეგობრები — საბჭოთა კავშირის გმირი ომის ვეტერანები საბჭოთა კომიტეტის მდივანი ა. პ. მარეხიევი და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ბ. ნ. ერიომინი.

ფოტო ნ. სიტნიკოვისა. (საკდესის ფოტოკორონიკა).

(გაგრძელება)

ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის, თქვა დასასრულ ამხ. ნ. აიდიტმა. დაე იმპერიალისტები და სხვა რეაქციონერები ძრწოდნენ ამ ერთიანობისა და ამ ბრძოლის წინაშე, მათი დრო წავიდა, მომავალი ჩვენ გვეკუთვნის, მომავალი ხალხს ეკუთვნის. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ საუკუნეში, როცა ხალხები შეგნებულად განსაზღვრავენ ისტორიის მსვლელობას.

ინდონეზიის კომპარტიის წარმომადგენელს ტრიბუნაზე ცვლის ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს გენერალური მდივანი ამხ. **აჯოი კუმარ გჰოში.** თქვენი ყრილობა, რომელსაც ძალიან სწორად ეწოდება კომუნიზმის შენებელთა ყრილობა, ამბობს იგი, შეიკრიბა მსოფლიო ისტორიის დიდნაზვნელოვან პერიოდში. მის გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო საბჭოთა ხალხისათვის, არამედ მთელი კაცობრობისთვისაც. ამიტომ გასაოცარი არ არის, რომ თქვენკენ არის მოპყრობილი მთელი მსოფლიოს ხალხთა თვალი.

ამხ. ა. გჰოში ხაზგასმით აღნიშნავს ოქტომბრის რევოლუციის უდიდეს მნიშვნელობას, ამბობს, რომ მოკლე ვადაში — 44 წელიწადში მსოფლიოში მოხდა უფრო დიდი ცვლილებები, ვიდრე ცვლილებები ყოველი წინა ეპოქის მთელი საუკუნეების მანძილზე. ოქტომბრის რევოლუციის მიერ აღმართულმა დროშამ საბოლოოდ გაიმარჯვა ქვეყნებში, სადაც ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის ერთი მესამედი. დღეს დიდი საბჭოთა კავშირის ხალხმა, აღნიშნავს ორატორი, დაისახა დიდებული მიზანი — კომუნიზმის აშენება. სკკპ პროგრამის პროექტი გაბედულად და მტკიცე რწმენით აცხადებს, რომ კომუნისტური საზოგადოების აშენება უშუალო პრაქტიკული ამოცანა გახდა საბჭოთა ხალხისათვის. წარმატებანი, რომლებიც უკვე მიღწეულია ამ მიმართულებით, ეჭვის ნატამალსაც კი არ ტოვებენ, რომ ეს ამოცანა შესრულდება.

ორატორი პროგრამის პროექტს უწოდებს მთელი კაცობრობისათვის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარტია და მთავრობა, რომლებმაც ასეთი დიდებული პროგრამა წამოაყენეს, დიდად არიან დაინტერესებულნი მშვიდობის შენარჩუნებით. იგი ეხება საერთაშორისო დაძაბულობას, რომელსაც უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები ქმნიან. მათ სურთ მსოფლიოს თავს დაატეხონ თერმობოლმური ომის საშინელებანი იმისათვის, რომ დაიბრუნონ მსოფლიო ბატონობა და თავს მოახვიონ ყველა ხალხს თავიანთი საძულველი რეჟიმი. მტკიცედ იბრძვის რა მშვიდობისათვის და მზად არის რა აწარმოოს მოლაპარაკება, საბჭოთა კავშირი იძულებული ვახდა განეხორციელებინა ღონისძიებანი, რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ საჭიროების შემთხვევაში გამანადგურებელი დარტყმა მიაყენოს აგრესორებს. ინდოეთის კომუნისტურ პარტიასა და ინდოელ მშრომელთა მოწინავე ფენებს საკუთარი ესმით სსრ კავშირის ამ ღონისძიებათა აუცილებლობა.

ინდოელმა ხალხმა, განაგრძობს ორატორი, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ომის წინააღმდეგ, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლის საქმეში. ინდოეთის რესპუბლიკამ გადამწყვეტი ნაბიჯი გადგა და გაუწია იმპერიალისტთა ცდებს ჩაეთრიათ იგი სამხედრო კავშირებში. ჩვენს ხალხს საბჭოთა კავშირი მიაჩნია მშვიდობისათვის ყველაზე მეგზარ მებრძოლად, გულწრფელ მეგობრად, რომელიც ძვირფას დახმარებას გვიწევს და ხელს გვიწყობს ჩვენი ეკონომიკის რეკონსტრუქციაში თანამედროვე საფუძველზე. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ინდოეთსა და სსრ კავშირს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ურთიერთობა დამყარდა. ეს მძლავრი ფაქტორია მშვიდობის სასარგებლოდ, და ჩვენ მუდამ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა განვამტკიცოთ თანამშრომლობისა და მეგობრობის ურთიერთობა ჩვენს ორ ქვეყანას შორის.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, აცხადებს ამხ. ა. გჰოში, მივულოცო საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს შესანიშნავი გამარჯვებანი, რომლებიც მოიპოვა მან ცხოვრების ყველა დარგში და განსაკუთრებით სკკპ ისტორიული XX ყრილობის შემდეგ პერიოდში, და გამოთქვა რწმენა, რომ მომავალში კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებს მოიპოვებთ.

• • •

მომმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელს ყრილობის მონაწილენი მხურვალედ შეხვდნენ. ეს იყო სოციალისტური ქვეყნების მძლავრი თანამეგობრობის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მომრაობის სულ უფრო მზარდი ერთიანობის შესანიშნავი დემონსტრაცია.

• • •

პარტიის ჰიმნად, მისი ახალი შესანიშნავი პროგრამის ჰიმნად გაისმა უბრალო ახალგაზრდა რუსი ქალის სიტყვა. ეს **მ. ი. როინეევა** — მოსკოვის ოლქის კუპავნის წმინდა. მაღიის ფაბრიკის ოსტატის თანაშემწე. როინეევას გზა დამახასიათებელია ბევრი მისი თანატოლისათვის. ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ იგი საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის მოსწავლე იყო, შემდეგ — მრთველი, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრა ტექნიკუმი, არჩეულია რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ბრიგადამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, საწარმოში პირველმა მიაღწია შეიდწლედის დამლევისათვის დაგეგმილ წარმოების დონეს.

როცა მე და ჩემი თანამოსაქმე ამხანაგები ეკითხულობდით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტს, ამბობს ამხ. როინეევა, ჩვენ ყოველი ჩვენგანის უდიდეს აღფთოვანებას იწვევდა. რა საუცხოოდ გაისმის დღეს: „საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!“ ახლანდელი თაობა ხომ ჩვენ ვართ თქვენთან ერთად, ძვირფასო ამხანაგებო, ამბობს მ. ი. როინეევა მთელი დარბაზის ტაშის გრიალში. ამისათვის ღირს ვიშრომოთ უკეთ, ღირს მთელი ჩვენი ძალები, ცოდნა და ოსტატობა შოვახმაროთ ამას.

პროგრამის პროექტის თვითეულ სტრიქონში, განაგრძობს იგი, მის თვითეულ სიტყვაში ღრმა რწმენაა ხალხისადმი, მისი შემოქმედებითი გენიისადმი, სულ უფრო სამური ხდება შრომა, შრომა საზოგადოებისათვის, შრომა, რომელიც გარდაქმნის ადამიანს, სახავს ჩვენი ხალხისათვის მატერიალური და სულიერი სიკეთის სიუხვის შექმნის გზას. მ. ი. როინეევა ლაპარაკობს ფაბრიკის კოლექტივის პატრიოტულ წამოწყებებზე. ეს არის საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა ნედლეულისა და მასალების ეკონომიისათვის, ბრძოლა დაზოგილი ნედლეულით ზეგეგმითი პროდუქციის გამომუშავებისათვის, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ყველა მუშის გეგმაზომიერი სწავლების ორგანიზაცია.

ახლა ფაბრიკაში ყოველ მეოთხე მშრომელს აქვს საშუალო, საშუალო ტექნიკური ან უმაღლესი განათლება. შორს არ არის ის დღე, ამბობს ორატორი, როცა ასეთი განათლება ექნება ყველა ჩვენს ახალგაზრდა მუშას.

მ. ი. როინეევა აცხადებს, რომ მეცნიერებათა თანამშრომლობით ფაბრიკის კოლექტივმა განახორციელა თავისი საწარმოს მოდერნიზაცია, შემოიღო საწარმოო პროცესის უფრო პროგრესული, დაჩქარებული რეჟიმები და უკანასკნელ ექვსშვიდ წელიწადში ერთიორად გაადიდა პროდუქციის გამოშვება. ღღეს ფაბრიკის მრთველთა შრომის ნაყოფიერება აღემატება 1965 წლისათვის დაგეგმილ დონეს. ვალენტინა გაგანოვას თაოსნობით ათობით კუპავნელი გადავიდა ჩამორჩენილ ბრიგადებში, ხოლო შემდეგ მთელი კოლექტივი დაეხმარა ტროიცკის წმინდა მაუდის ფაბრიკას დაეძლია ჩამორჩენა და გამოსულიყო მოსკოვის ოლქის მოწინავე საწარმოთა რიგებში.

უძლეველი ძალით, განაგრძობს ამხ. როინეევა, წარმოიშობა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ახალი კომუნისტური პრინციპებისა და საწყისების სულ სხვადასხვა გამოვლინება. ფაბრიკაში შემოღებულია სამუშაოზე გამოსვლის უტაბელო აღრიცხვა და უმოლაროდ ფულის გაცემა. მუშების მიღების, დათხოვნის და ადამიანთა აღზრდის საკითხები წყდება ბრიგადაში, ცეხში. კოლექტიურად აღიარებენ და დაბადების დღეები, ბავშვის დაბადება, მუშის შესვლა პარტიაში ან კომკავშირში, დამსახურებულ დასვენებაზე წასვლა. ფაბრიკასა და დაბაში გაჩნდა ახალი ყვავილნარები და გაზონები, სასპორტო მოედნები, სბავშვო ოთახები. და ყოველივე ეს შეიქმნა საზოგადოებრივი შრომით, პარტიის XXII ყრილობის გახსნის წინ კუპავნის ფაბრიკას მიენიჭა კომუნისტური შრომის საწარმოს წოდება.

ჩვენ გვესმის, აცხადებს ამხ. როინეევა, რომ მაღალი წოდება მარტო პატივი როდია, ჩვენ იგი მივიღეთ როგორც საგუნური კომუნისტურ მომავალში, რომლისთვისაც უფრო მეტი ენთუზიაზმითა და შეუპოვრობით ვიბრძოლებთ.

განვიხილავთ რა სკკპ პროგრამის პროექტს, ამბობს დასასრულ მ. ი. როინეევა, ჩვენ საბოლოო რედაქციას ვუკეთებთ ჩვენი ეპოქის ფილოსოფიურ დოკუმენტს, რომელიც საუკუნეებში დარჩება. სსრ კავშირში კომუნიზმის გამარჯვება აკეთებრობის უდიდესი გამარჯვება იქნება მთელი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ამხ. **ა. ნ. კოსიგინს.**

ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში, ამბობს ამხ. კოსიგინი, შეჯამებულია შედეგები საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა და შრომისა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ პერიოდში. პარტიის მიერ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების აღდგენამ, პიროვნების კულტის უარყოფისთ შედეგების ბოლომდე დაძლევამ გამოიწვია ჩვენი ხალხის — ისტორიის ნამდვილი შემოქმედის — შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის უმაგალითო აღმავლობა, აღაფრთოვანა მილიონობით ადამიანი დიადი და სახელოვანი საქმეებისათვის.

პარტიის მიერ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში დიდ ღონისძიებათა განხორციელებამ უზრუნველყო საწარმოო ძალების დაჩქარებული განვითარება, ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცება და საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლება. შესანიშნავი გამარჯვებანი მოიპოვა საბჭოთა მეცნიერებამ, ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრ დარგში.

ჩვენი პარტიის რიგების განმტკიცებისა და შეკავშირებისათვის, ამბობს შემდეგ ამხ. კოსიგინი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვის, ვოროშილოვის, ბულგანინის, პერეუხინის, საბუროვისა და შეპილოვის ანტიპარტიული ფრაქციული დაჯგუფების განადგურებას, რომლებიც ცდილობდნენ დაებრუნებინათ პარტია პიროვნების კულტის ძველი კურსისაკენ, მოეწყვეტათ პარტიის ხელმძღვანელი ბირთვი პარტიისა და ხალხისაგან.

ჩვენს ყრილობაზე, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ იმიტომ კი არ ვლაპარაკობთ, რომ იგი ამჟამად წარმოადგენს რაღაც ძალას ან საფრთხეს პარტიის საქმიანობისათვის. ჩვენი პარტია ახლა უფრო ძლიერი და ერთიანია, ვიდრე ოდესმე. პარტია ერთსულოვანი და შეკავშირებულია თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო ერთგული ლენინელის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით. მაგრამ ჩვენ ამას იმისათვის ვშვრებით, რომ ერთხელ კიდევ ვუჩვენოთ პარტიასა და ხალხს, თუ რას იწვევს პიროვნების კულტი, რა გამოუსწორებელი ზიანი შეეძლო მიეყენებინა პარტიისა და სახელმწიფოსთვის ანტიპარტიულ დაჯგუფებას. ჩვენ გვინდა, რომ ისტორიის გაკვეთილები არასოდეს არ მოეცეს დავიწყებას. ჩვენ უნდა გავაკეთოთ და გავაკეთებთ ყოველივე შესაძლებელს, რათა მომავალშიც ჩვენს პარტიაში, ჩვენს საზოგადოებაში ადგილი არ ექნეს პიროვნების კულტს, რათა სავსებით ესმით სსრ კავშირის ამ ღონისძიებათა აუცილებლობა.

ინდოელმა ხალხმა, განაგრძობს ორატორი, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ომის წინააღმდეგ, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლის საქმეში. ინდოეთის რესპუბლიკამ გადამწყვეტი ნაბიჯი გადგა და გაუწია იმპერიალისტთა ცდებს ჩაეთრიათ იგი სამხედრო კავშირებში. ჩვენს ხალხს საბჭოთა კავშირი მიაჩნია მშვიდობისათვის ყველაზე მეგზარ მებრძოლად, გულწრფელ მეგობრად, რომელიც ძვირფას დახმარებას გვიწევს და ხელს გვიწყობს ჩვენი ეკონომიკის რეკონსტრუქციაში თანამედროვე საფუძველზე. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ინდოეთსა და სსრ კავშირს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ურთიერთობა დამყარდა. ეს მძლავრი ფაქტორია მშვიდობის სასარგებლოდ, და ჩვენ მუდამ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა განვამტკიცოთ თანამშრომლობისა და მეგობრობის ურთიერთობა ჩვენს ორ ქვეყანას შორის.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, აცხადებს ამხ. ა. გჰოში, მივულოცო საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს შესანიშნავი გამარჯვებანი, რომლებიც მოიპოვა მან ცხოვრების ყველა დარგში და განსაკუთრებით სკკპ ისტორიული XX ყრილობის შემდეგ პერიოდში, და გამოთქვა რწმენა, რომ მომავალში კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებს მოიპოვებთ.

• • •

მომმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელს ყრილობის მონაწილენი მხურვალედ შეხვდნენ. ეს იყო სოციალისტური ქვეყნების მძლავრი თანამეგობრობის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მომრაობის სულ უფრო მზარდი ერთიანობის შესანიშნავი დემონსტრაცია.

• • •

პარტიის ჰიმნად, მისი ახალი შესანიშნავი პროგრამის ჰიმნად გაისმა უბრალო ახალგაზრდა რუსი ქალის სიტყვა. ეს **მ. ი. როინეევა** — მოსკოვის ოლქის კუპავნის წმინდა. მაუდის ფაბრიკის ოსტატის თანაშემწე. როინეევას გზა დამახასიათებელია ბევრი მისი თანატოლისათვის. ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ იგი საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის მოსწავლე იყო, შემდეგ — მრთველი, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრა ტექნიკუმი, არჩეულია რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ბრიგადამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, საწარმოში პირველმა მიაღწია შეიდწლედის დამლევისათვის დაგეგმილ წარმოების დონეს.

როცა მე და ჩემი თანამოსაქმე ამხანაგები ეკითხულობდით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტს, ამბობს ამხ. როინეევა, ჩვენ ყოველი ჩვენგანის უდიდეს აღფთოვანებას იწვევდა. რა საუცხოოდ გაისმის დღეს: „საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!“ ახლანდელი თაობა ხომ ჩვენ ვართ თქვენთან ერთად, ძვირფასო ამხანაგებო, ამბობს მ. ი. როინეევა მთელი დარბაზის ტაშის გრიალში. ამისათვის ღირს ვიშრომოთ უკეთ, ღირს მთელი ჩვენი ძალები, ცოდნა და ოსტატობა შოვახმაროთ ამას.

პროგრამის პროექტის თვითეულ სტრიქონში, განაგრძობს იგი, მის თვითეულ სიტყვაში ღრმა რწმენაა ხალხისადმი, მისი შემოქმედებითი გენიისადმი. სულ უფრო სამური ხდება შრომა, შრომა საზოგადოებისათვის, შრომა, რომელიც გარდაქმნის ადამიანს, სახავს ჩვენი ხალხისათვის მატერიალური და სულიერი სიკეთის სიუხვის შექმნის გზას. მ. ი. როინეევა ლაპარაკობს ფაბრიკის კოლექტივის პატრიოტულ წამოწყებებზე. ეს არის საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა ნედლეულისა და მასალების ეკონომიისათვის, ბრძოლა დაზოგილი ნედლეულით ზეგეგმითი პროდუქციის გამომუშავებისათვის, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ყველა მუშის გეგმაზომიერი სწავლების ორგანიზაცია.

ახლა ფაბრიკაში ყოველ მეოთხე მშრომელს აქვს საშუალო, საშუალო ტექნიკური ან უმაღლესი განათლება. შორს არ არის ის დღე, ამბობს ორატორი, როცა ასეთი განათლება ექნება ყველა ჩვენს ახალგაზრდა მუშას.

მ. ი. როინეევა აცხადებს, რომ მეცნიერებათა თანამშრომლობით ფაბრიკის კოლექტივმა განახორციელა თავისი საწარმოს მოდერნიზაცია, შემოიღო საწარმოო პროცესის უფრო პროგრესული, დაჩქარებული რეჟიმები და უკანასკნელ ექვსშვიდ წელიწადში ერთიორად გაადიდა პროდუქციის გამოშვება. ღღეს ფაბრიკის მრთველთა შრომის ნაყოფიერება აღემატება 1965 წლისათვის დაგეგმილ დონეს. ვალენტინა გაგანოვას თაოსნობით ათობით კუპავნელი გადავიდა ჩამორჩენილ ბრიგადებში, ხოლო შემდეგ მთელი კოლექტივი დაეხმარა ტროიცკის წმინდა მაუდის ფაბრიკას დაეძლია ჩამორჩენა და გამოსულიყო მოსკოვის ოლქის მოწინავე საწარმოთა რიგებში.

უძლეველი ძალით, განაგრძობს ამხ. როინეევა, წარმოიშობა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ახალი კომუნისტური პრინციპებისა და საწყისების სულ სხვადასხვა გამოვლინება. ფაბრიკაში შემოღებულია სამუშაოზე გამოსვლის უტაბელო აღრიცხვა და უმოლაროდ ფულის გაცემა. მუშების მიღების, დათხოვნის და ადამიანთა აღზრდის საკითხები წყდება ბრიგადაში, ცეხში. კოლექტიურად აღინიშნება დაბადების დღეები, ბავშვის დაბადება, მუშის შესვლა პარტიაში ან კომკავშირში, დამსახურებულ დასვენებაზე წასვლა. ფაბრიკასა და დაბაში გაჩნდა ახალი ყვავილნარები და გაზონები, სასპორტო მოედნები, სბავშვო ოთახები. და ყოველივე ეს შეიქმნა საზოგადოებრივი შრომით, პარტიის XXII ყრილობის გახსნის წინ კუპავნის ფაბრიკას მიენიჭა კომუნისტური შრომის საწარმოს წოდება.

ჩვენ გვესმის, აცხადებს ამხ. როინეევა, რომ მაღალი წოდება მარტო პატივი როდია, ჩვენ იგი მივიღეთ როგორც საგუნური კომუნისტურ მომავალში, რომლისთვისაც უფრო მეტი ენთუზიაზმითა და შეუპოვრობით ვიბრძოლებთ.

განვიხილავთ რა სკკპ პროგრამის პროექტს, ამბობს დასასრულ მ. ი. როინეევა, ჩვენ საბოლოო რედაქციას ვუკეთებთ ჩვენი ეპოქის ფილოსოფიურ დოკუმენტს, რომელიც საუკუნეებში დარჩება. სსრ კავშირში კომუნიზმის გამარჯვება აკეთებრობის უდიდესი გამარჯვება იქნება მთელი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ამხ. **ა. ნ. კოსიგინს.**

ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში, ამბობს ამხ. კოსიგინი, შეჯამებულია შედეგები საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა და შრომისა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ პერიოდში. პარტიის მიერ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების აღდგენამ, პიროვნების კულტის უარყოფით შედეგების ბოლომდე დაძლევამ გამოიწვია ჩვენი ხალხის — ისტორიის ნამდვილი შემოქმედის — შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის უმაგალითო აღმავლობა, აღაფრთოვანა მილიონობით ადამიანი დიადი და სახელოვანი საქმეებისათვის.

პარტიის მიერ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში დიდ ღონისძიებათა განხორციელებამ უზრუნველყო საწარმოო ძალების დაჩქარებული განვითარება, ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცება და საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლება. შესანიშნავი გამარჯვებანი მოიპოვა საბჭოთა მეცნიერებამ, ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრ დარგში.

ჩვენი პარტიის რიგების განმტკიცებისა და შეკავშირებისათვის, ამბობს შემდეგ ამხ. კოსიგინი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვის, ვოროშილოვის, ბულგანინის, პერეუხინის, საბუროვისა და შეპილოვის ანტიპარტიული ფრაქციული დაჯგუფების განადგურებას, რომლებიც ცდილობდნენ დაებრუნებინათ პარტია პიროვნების კულტის ძველი კურსისაკენ, მოეწყვეტათ პარტიის ხელმძღვანელი ბირთვი პარტიისა და ხალხისაგან.

ჩვენს ყრილობაზე, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ იმიტომ კი არ ვლაპარაკობთ, რომ იგი ამჟამად წარმოადგენს რაღაც ძალას ან საფრთხეს პარტიის საქმიანობისათვის. ჩვენი პარტია ახლა უფრო ძლიერი და ერთიანია, ვიდრე ოდესმე. პარტია ერთსულოვანი და შეკავშირებულია თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო ერთგული ლენინელის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით. მაგრამ ჩვენ ამას იმისათვის ვშვრებით, რომ ერთხელ კიდევ ვუჩვენოთ პარტიასა და ხალხს, თუ რას იწვევს პიროვნების კულტი, რა გამოუსწორებელი ზიანი შეეძლო მიეყენებინა პარტიისა და სახელმწიფოსთვის ანტიპარტიულ დაჯგუფებას. ჩვენ გვინდა, რომ ისტორიის გაკვეთილები არასოდეს არ მოეცეს დავიწყებას. ჩვენ უნდა გავაკეთოთ და გავაკეთებთ ყოველივე შესაძლებელს, რათა მომავალშიც ჩვენს პარტიაში, ჩვენს საზოგადოებაში ადგილი არ ექნეს პიროვნების კულტს, რათა სავსებით მოისპოს მისი ყლორტები და ფესვები.

ამხ. კოსიგინი შეეხო ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელთა მიერ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დარღვევებს და თქვა, რომ მთლიანად ეთანხმება ალბანეთის შრომის პარტიაში საქმის მდგომარეობის იმ შეფასებასა და სამართლიან კრიტიკას, რომელიც ყრილობის დელეგატებმა და მომმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა გამოთქვეს ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელთა მიმართ.

საბჭოთა ადამიანები მიეჩვიენენ იცხოვრონ და იმუშონ პერსპექტივით. მიეჩვინენ ჩვენი მშენებლობის სწრაფ ტემპებსა და გრანდიოზულ გაქანებას. მაგრამ მომავალი ჩვენს წინაშე ჯერ არასოდეს არ დასახულა ისეთი მკაფიო სიცხადით, როგორც დასახულია სკკპ პროგრამაში კომუნისტური მშენებლობის დიდებული ლენინური ბიენი.

ახალ კაპიტალურ მშენებლობასთან ერთად საწარმოო სიმძლავრეთა სწრაფი გადიდების ეფექტიანი საშუალებაა მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია და გაფართოება ახალ ტექნიკურ საფუძველზე. მთელ კაპიტალდაბანდებათა ნახევარზე მეტი ახლა ამ მიზნებს ხმარდება.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ მთლიანად სახალხო მეურნეობაში კაპიტალური მშენებლობის ტემპები ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, ხელს გვიშლის სერიოზული ნაკლოვანებები მშენებლობის დაპროექტებასა და ორგანიზაციაში, კაპიტალურ სამუშაოთა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასა და დაგეგმვაში. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენილი ნორმები უცილობელი კანონი უნდა იყოს. კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის გადიდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მშენებლობის დაპროექტების ძირეული გაუმჯობესება. საპროექტო გადაწყვეტაში ასახული უნდა იყოს ყველა დამთავრებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომლებიც მნიშვნელოვანია სახალხო მეურნეობისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით, ამბობს ამხ. კოსიგინი, კაპიტალური მშენებლობის საკითხი განხილულ იქნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში და ამ საკითხზე მიღებულია სპეციალური დადგენილება. შემოღებულია კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის ახალი წესი. კაპიტალური მშენებლობის მოცულობა მომავალში მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული საშენი მასალებითა და მოწყობილობით უზრუნველყოფასთან. გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი და მატერიალური რესურსები თავმოყრილი უნდა იყოს უწინარეს ყოვლისა ასამშენებელ ობიექტებზე.

ამხ. კოსიგინმა თავის სიტყვაში დიდი ყურადღება დაუთმო სოციალისტური წარმოების ორგანიზაციის საკითხებს. მან აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ინტენსიფიკაცია, რომლებიც ჩამოყალიბებულია პროგრამის პროექტსა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებში, მოითხოვს სამეურნეო ხელმძღვანელობის განუწყვეტელ გაუმჯობესებას, მატერიალური და შრომითი რესურსების ყველაზე რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას.

წარმოების რაციონალური ორგანიზაცია უწინარეს ყოვლისა არის საწარმოო ფონდების საუკეთესოდ გამოყენება, რაც შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვნად გადიდდეს პროდუქციის გამოშვება. მრეწველობის ცალკეულ დარგებში, ამბობს ა. ნ. კოსიგინი, ჩვენ კარგი შედეგები მოვიპოვეთ. მაგალითად, შავი მეტალურგიის ყველა წარმოებაში პროდუქციის გამოშვების ტემპები 1959-1960 წლებში მნიშვნელოვნად აღემატებოდა საწარმოო სიმძლავრეთა მატებას. ცემენტის მრეწველობაში საწარმოო სიმძლავრეები იმავე წლებში გაიზარდა 9,2 მილიონი ტონით, ხოლო წარმოების მოცულობა გაიზარდა 12 მილიონი ტონით და მეტით. ფეხსაცმლის წარმოებაში ამოშავებულია სიმძლავრეები 30 მილიონი წყვილისათვის, ხოლო მისი გამოშვება გადიდდა 63 მილიონი წყვილით. ასეთი რეზერვები სახალხო მეურნეობის ყველა დარგშია.

თანამედროვე მაღალმექანიზებულ სამრეწველო საწარმოში წარმოების ორგანიზაციის პრობლემების მთელი კომპლექსის მეცნიერული დამუშავება ამჟამად გადაუდებელი ამოცანაა. იგი უნდა გადაჭრან ჩვენმა სამეცნიერო დაწესებულებებმა, დარგობრივმა და ზოგადეკონომიურმა ინსტიტუტებმა, საპროექტო ორგანიზაციებმა.

ამხ. კოსიგინი ხაზს უსვამს იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მანქანათმშენებლობის სხვადასხვა დარგის სპეციალიზაციას, რემონტის საქმის ვრცელ ცენტრალიზაციას. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მრეწველობის მუშაობის თვისებრივ მაჩვენებლთა შემდგომ გაუმჯობესებას, მალი წარმოდობის მოწყობილობის გამოშვებასა და მანქანების აგრეგატების სამსახურის ვადის გადიდებას. წარმოების სპეციალიზაციის გაფართოება, საწარმოებსა და ეკონომიურ რაიონებს შორის სამეურნეო ურთიერთობის განვითარება მოითხოვს დაგეგმვის სისტემის გაუმჯობესებას. ეს პირველ რიგში ეხება სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების დამუშავებას.

თავისი გამოსვლის დასკვნითი ნაწილი ამხ. კოსიგინმა მიუძღვნა პარტიის ლოზუნგის: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“ განხორციელების ამოცანას. მან თქვა, რომ გენერალური გეგმის პროექტში გათვალისწინებული სახალხო მოხმარების საქონლის ზრდა ისეთი ოდენობით, რომ დაახლოებით 1970 წელს ჩვენ გადავაჭარბებთ ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების დონეს ერთ სულ მოსახლეზე საქონლის გამოშვების მხრივ.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა თავრობამ ამხანაგ ხრუშჩოვის ინიციატივით შეიმუშავეს მსუბუქ, კვების, ქიმიურ მრეწველობასა და მრეწველობის სხვა დარგებში საწარმოო სიმძლავრეთა გაფართოების სპეციალური ღონისძიებანი, რათა შეიქმნას მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მთელი საჭირო პროდუქციის სიუხვე. 1960 წლიდან კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მოხმარების საგნების წარმოების უმნიშვნელოვანეს დარგებში გაცილებით მეტი გახდა, ვიდრე გათვალისწინებული იყო შვიდწლიანი გეგმის გაანგარიშებებში.

დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული ვაჭრობის მუშაკთა წინაშე. წარმოების თანამედროვე დონე და ჩვენი ნაღდლეულის შესაძლებლობანი საშუალებას გვაძლევენ უახლოეს წლებში მთლიანად დავაკმაყოფილოთ ბაზარი ყველა საჭირო საქონლით. ჩვენი მაღაზიები, სასადილოები, კაფეები უნდა აკმაყოფილებდნენ ვაჭრობის მაღალი კულტურის მოთხოვნებს. ყველაფერი, რაც იქმნება ყოფაცხოვრებისათვის, ადამიანებისათვის, უნდა იყოს კარგი, მოხერხებული და ლამაზი.

ჩვენი პარტია გარემოსილია მთელი ხალხის სიყვარულით, ამბობს ა. ნ. კოსიგინი, საბჭოთა ადამიანებს თავისი მშობლიური პარტია მიაჩნიათ ბ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

(გაგრძელება)

თვითეული კომუნისტური პარტიისათვის, რომელიც ღირსია ატარებდეს ამ სახელს, აცხადებს დოლორეს იბარური, XX ყრილობის გადაწყვეტილებები მუდამ იმის მაგალითია, რომ კომუნისტები მამაცურად ეკიდებიან თავიანთი შეცდომების გასწორებას, იმის მაგალითია, რომ ისინი ლენინიზმის ერთგულნი არიან და იცავენ სოციალისტური რევოლუციის პრინციპებს ყოველგვარი გადახრისა და უხეში დამახინჯებისაგან. რამდენადაც ლენინელებს, განაგრძობს იგი, არა სჩვევიათ დაფარონ უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას კომუნისტურ მოძრაობაში, როგორც ადამიანები ფარავენ სამარცხვინო სენს, რომელიც ამის გამო უფრო ღრმად იბუდებს ორგანიზმში, ჩვენ ვკისრულობთ გამბედაობას ვამტკიცოთ, რომ პოზიცია, რომელიც ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელებმა დიკაკვეს, შეუთავსებელია კომუნისტთა, მარქსისტ-ლენინელთა წოდებასთან.

ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე კომუნიზმის აშენების ახალ პროგრამას ახასიათებს როგორც მსოფლიო პროლეტარიატის ცხოვრებისა და იმედის სიმღერას. მისი განხორციელება ახალი ეტაპი იქნება კაცობრიობის გზაზე კომუნისტური საზოგადოებისაკენ. პროგრამა, რომელიც თქვენ უნდა მიიღოთ, ამბობს ორატორი, კომუნიზმის მშენებლობის მარტო თქვენი დროშა როდია, ეს არის აგრეთვე ჩვენი დროშა, დროშა და პროგრამა კომუნისტური მოძრაობისა და საერთაშორისო მუშათა კლასისა სოციალიზმის ეპოქაში. მას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც მარქსისა და ენგელსის კომუნისტურ მანიფესტს კაპიტალიზმის ქმნადობის პერიოდში.

ამხანაგო ხრუშჩოვ, — ამბობს დოლორეს ზბარური, — როცა ვისმენდით თქვენს შთაგონებულ მოხსენებებს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის დიადი მიღწევების შესახებ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში საბჭოთა ხალხის მრავალ გამარჯვებათა შესახებ, სულით და გულით ვუმადლოდით საბჭოთა ხალხსა და მის ლენინურ პარტიას, ამ გარდაქმნების სახელოვან შემქმნელებს, და ვფიქრობდით ესპანეთზე. ჩვენ ვფიქრობდით ჩვენს, გმირ და მებრძოლ ხალხზე, რომელმაც მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შესწირა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და კიდევ უნდა განაგრძოს თავისი ბრძოლა, ჩვენს ქალებზე, რომლებიც წარმოადგენენ ერთგულებისა და თავგანწირვის მაგალითს, ჩვენს მუშათა კლასზე — სასტიკი ექსპლოატაციის მსხვერპლზე, რომელსაც აყრილი აქვს ყოველგვარი უფლება, ვფიქრობდით ჩვენს გლეხებზე, რომლებიც მუშაობენ შუით გადამწყვარი მიწის ნაკვეთებზე, რათა ოფლითა და ტანჯვით მოიყვანონ 4-6 ცენტნერი ხორბალი ექტარზე. ჩვენ ვფიქრობდით ათასობით სასოფლო-სამეურნეო მუშაზე, რომელიც დაეხეტებიან პროვინციიდან პროვინციაში, რათა გაყიდონ თავიანთი შრომა. ჩვენ ვფიქრობდით ინტელიგენციაზე, რომელსაც თრგუნავს ორმაგი ცენზურა, რელიგიური და ფაშისტური. და რომელიც იძულებულია წეროს ეზოპეს ენით, დაფაროს თავისი ზიზღი და გულისწყრომა ფრანკოსადმი და მისი ეპისკოპოსთა და გენერალთა კამარილიისადმი.

მაგრამ აგრეთვე ვფიქრობდით, რომ ვერც ამერიკის ბაზები, ვერც დახმარება, რომელსაც გერმანელი რევანშისტები უწევენ ფრანკოს, ვერ ააცდენენ მას დაცემას და დემოკრატიული რეფორმების განვითარებას, რომელიც ჩქეფს ესპანეთის საზოგადოების წიაღში და ეძებს გამოსავალს.

— ჩვენ ფხიზელნი ვიქნებით, რათა ხელი შევუშალოთ იმპერიალისტ აგრესორებს გამოიყენონ ჩვენი ქვეყანა ატომურ ტრამპლინად, აცხადებს დასასრულ დოლორეს იბარური. ასეთ აღთქმას ვაძლევთ XXII ყრილობას, და ჩვენ, ესპანელი კომუნისტები, შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას ჩვენი ხალხის წინაშე, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წინაშე.

ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამბ. **ვილე პესი** ლაპარაკობს XXII ყრილობის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობაზე, იმაზე, რომ ყრილობა ამჟამად მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. ეს ფაქტი, ხაზს უსვამს ამბ. ვ. პესი, მოწმობს თქვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ძალას, იმას, თუ რა ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიოს ყველა ხალხში საბჭოთა კავშირი, რომელიც კომუნიზმს აშენებს. ეს აგრეთვე მოწმობს, თუ რა ცვლილებანი მოხდა ძალთა თანაფარდობაში საერთაშორისო ასპარეზზე, რაზეც აქ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ილაპარაკა. ჩვენ მთლიანად ეთერთდებით სოციალიზმის ბანაკისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დიდი მიღწევების ღრმა და სწორ შეფასებას, რომელსაც იგი იძლევა.

ჩვენ აგრეთვე ვიზიარებთ, განაგრძობს ორატორი, იმ აზრს, რომ ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელებმა დაიკავეს მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო პოზიცია და მკვეთრად გადაუხვიეს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ერთობლივი თათბირის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელმოწერილ იქნა ერთი წლის წინათ.

შემდეგ ამბ. ვ. პესიმ დაახასიათა სკკპ ახალი პროგრამის პროექტის მნიშვნელობა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობისათვის. ეს პროგრამა, ამბობს ვ. პესი, ასახავს განვითარების იმ გზის კანონზომიერებებს, რომლითაც მიდის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, მიდის ყველა ხალხი მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, მშრომელთა უკეთესი მომავლისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ორატორი აღნიშნავს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი აწარმოებს, კერძოდ, ფინეთის მიმართ, ფართო გამოხმაურებას პოულობს ფინეთის მოსახლეობაში.

ვილე პესი გამარჯვებას უსურვებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მტკიცე ერთიანობასა და ურყევ ამხანაგობას ხალხთა მშვიდობისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში!

ტრიბუნაზეა ვიშნი ვოლოჩეკის ბამბეულის კომბინატის ბრიგადირი ამხ. **ვ. ი. გაგანოვა.** კალინინის ოლქის ყველა მშრომელის, პირადად თავისი სახელით იგი მხურვალედ მიესალმა ყრილობის დელეგატებს და ძვირფას ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვს. წარჩინებული მრთველი პირობას იძლევა, რომ მშრომელები არ დაიშურებენ ძალღონეს, რათა შეასრულონ გადაწყვეტილებანი, რომლებსაც მიიღებს ყრილობა, რათა შეასრულონ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამა.

ჩვენი კომბინატის ფეიქრებმა, ამბობს ორატორი, დამავალეს გადავცე ჩვენი შრომითი პატაკი ყრილობას (ვ. ი. გაგანოვა გადასცემს ნ. ს. ხრუშჩოვს ვიშნი ვოლოჩეკის ფეიქართა პატაკს). ჩვენი პატაკი, განაგრძობს ამბ. გაგანოვა, არის პატაკი ყრილობისადმი კოლექტივის შრომითი სიტყვრების შესახებ. იქ ნათქვამია, რომ კომბინატის ფეიქრებმა ყრილობის წინა შეჯიბრებაში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 2 მილიონ 500 ათასი მეტრი მზა ქსოვილები. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ზეგეგმითი ქსოვილით შევმოსოთ ნახევარ მილიონზე მეტი საბჭოთა ადამიანი.

დელეგატი მოუთხრობს ყრილობას, თუ რა წარმატებები აქვს მის ბრიგადას. ბრიგადა შარშან შეიქმნა ნაკლებად გამოცდილი ქალიშვილებისაგან, რომლებსაც ახალი დამთავრებული ჰქონდათ საფაბრიკო-საქალაქო სწავლების სკოლა. მე სამუშაოდ წავედი ამ ახალ ბრიგადაში, ამბობს ამბ. გაგანოვა. ეს ექნი არა სახელისათვის, არამედ იმისთვის, რომ შემემქმნა ერთსულოვანი, კარგი, მუშაობისუნარიანი კოლექტივი, რომ ჩვენი საქმე უკეთ წასულიყო. ჩვენ ყველამ ერთად შევძელით ეს. ვ. ი. გაგანოვა მოახსენებს ყრილობას, რომ ბრიგადამ შეასრულა თავისი ვალდებულებანი და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 7.200 კილოგრამი ნართი.

ამბ. გაგანოვა ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ ეჯიბრება მისი ბრიგადა ყრილობის დელეგატს მეშახტე ნ. ი. მამაის ბრიგადას. ნიკოლოზ იაკობის-ძე და მისი ამხანაგები გეგმის გადამეტებით იღებენ ქვანახშირს ეშელონობით, ჩვენ კი, მრთველები, ზეგეგმითს პროდუქციას ტონობით ვანგარიშობთ. და თუმცა ჩვენი შრომის შედეგებს ჩვენ სხვადასხვანაირად ვანგარიშობთ, მაგრამ მიზანი ერთი გვაქვს — მეტი პროდუქცია მივაცეთ ჩვენს ხალხს, რომელსაც ესაჭიროება ქვანახშირის ზეგეგმითი ეშელონებიც და ნართის ზეგეგმითი ტონებიც. ჩვენ განვაგრძობთ შეჯიბრებას ამხანაგ მამაის ბრიგადასთან, და ჩვენ, ფეიქრები, არ ვაპირებთ დავთმოთ პირველობა. საბჭოთა ქალებს არაერთხელ დაუმტკიცებიათ, რომ ისინი მამაკაცებზე ცუდად როდი მუშაობენ.

პროგრამის პროექტის შესწავლისას ფეიქრებმა კარგად შეიგნეს, რომ კომუნიზმი, რომლის აშენების გეგმა ჩამოყალიბებულია ამ ისტორიულ დოკუმენტში, თავისთავად როდი მოვა ჩვენთან. კომუნიზმის აშენება ხალხის, მისი ენერგიის, მისი გონების საქმეა. აი ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ პროგრამის პროექტის შესწავლისა და განხილვის მსვლელობაში კიდევ უფრო ამაღლდა მუშათა აქტივობა და შემოქმედება. ამბ. გაგანოვა ლაპარაკობს ახალ წამოწყებებზე, რომელთა მიზანია შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის გამოშვების გადიდება. ამქამად ჩვენი სართავი საწარმო მთლიანად მუშაობს შრომის ნაყოფიერების ზრდის გასწრებით შრომის ანაზღაურებასთან შედარებით, ამბობს იგი. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ საკმარისად ვერ ვიყენებთ არსებულ რეზერვებს. ამიტომ კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ახალგაზრდა კომუნისტი ქენია სტეპანოვა ხელმძღვანელობს, გამოიდა შრომის ნაყოფიერების გადიდების ახალი უფრო მაღალი ტემპების მიღწევისათვის შეჯიბრების ინიციატორად და უკვე მიაღწია ამაში წარმატებებს. სტეპანოვას თანამხლებს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა კომბინატში.

მინის ქარხანა „წითელ მაისსა“ და ქალაქისა და რაიონის სხვა საწარმოებში გავრცელდა ახალგაზრდა კომუნისტის გალინა პუშკოვას თანამხლობა. მან მოითხოვა, ნორმა გამიდიდეთო, რადგან გრძნობს, რომ მეტი შეუძლია გაკეთოს, ვიდრე მოითხოვდა მაშინ არსებული ნორმები. ეს მაგალითები იმის დამაჯერებელი დადასტურებაა, რომ უკვე დღეს საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში, მუშაობაში მთავარი გახდა კომუნიზმის მშენებლის იმ მორალური კოდექსის პრინციპების დაცვა, რომელიც ჩამოყალიბებულია პროგრამის პროექტში.

ვ. ი. გაგანოვა ამბობს, რომ საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ ცენტრალური კომიტეტის და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის საქმიანობას, სულით და გულით მიესალმებიან სკკპ პროგრამის პროექტს. ჩვენ, უბრალო მუშები, ყველა საბჭოთა ადამიანი, განაცხადა ამხ. [illegible] — ჩვენ ვფიქრობ, ყველა [illegible] — ეს [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...